

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	დოქტორანტურა, არჩევითი (უნივერსიტეტში მოქმედი ყველა სადოქტორო პროგრამის სტუდენტისთვის).
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	ერთი სემესტრი (15 კვირა).
ECTS	10 კრედიტი (30 საკონტაქტო + 95 დამოუკიდებელი მუშაობის საათი) = 125 სთ.
ლექტორები	მაკა ერაძე, თსუ პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, ელ. ფოსტა: maka.eradze@tsu.ge
სასწავლო კურსის მიზანი	ტექნოლოგიური წიგნიერება აუცილებელია, რათა შესაძლებელი გახდეს ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლა და სწავლება. სასწავლო კურსი პირობითად ორი ნაწილისგან შედგება: სტუდენტები თავდაპირველად იღებენ ინფორმაციას ტექნოლოგიების შესახებ, ხოლო შემდეგ ეუფლებიან შესაბამის პრაქტიკულ უნარებს. კურსის მიზანია მოამზადოს დოქტორანტები თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისთვის კვლევა/სწავლებაში და დისტანციური სწავლების საფუძვლებში, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას. კურსი კომბინირებულია – დისტანციური და პირდაპირი (უშუალო) კონტაქტით.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	საბაზისო კომპიუტერული ცოდნა (საოფისე პროგრამები, ინტერნეტი). სასწავლო კურსზე დაშვება მოხდება წინასწარი ტესტირების საფუძველზე.
სასწავლო კურსის ფორმატი	დისტანციური სწავლება/პრაქტიკუმი/პრეზენტაცია.
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი.
შეფასება	პრაქტიკუმებზე დასწრება – 10% პრეზენტაცია – 20% ელექტრონული კურსი – 70% საბოლოო შეფასება: 100%
სავალდებულო	შესაბამისი დისტანციური კურსი უნივერსიტეტის პორტალზე:

ლიტერატურა	http://e-learning.tsu.ge/course/view.php?id=8 Moodle მულტიმედიური დისტანციური კურსი http://e-learning.tsu.ge/course/view.php?id=7 google ინსტრუმენტები http://www.googleguide.com/ ელექტრონული სწავლების სტრატეგიის სახელმძღვანელო http://www.elearningguild.com/content.cfm?selection=doc.817 ელექტრონული სწავლების წარმატებულობისათვის http://www.elearningguild.com/content.cfm?selection=doc.541
სწავლის შედეგები	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი ტენდენციების გააზრება, კვლევა/სწავლებაში დანერგვა. ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების დაუფლება.

#	ლექცია-სემინარის თემა
1 ლექცია	ინტერნეტის განვითარების ზოგადი ტენდენციები (web 2.0. სოციალური კონსტრუქტივიზმი); საძიებო სისტემები; ვირტუალური ბიბლიოთეკები.
2-3 ლექცია	საწარმო ინსტრუმენტების გამოყენება: ვირტუალური ოფისი; გეოინფორმაციული სისტემები; საპრეზენტაციო პროგრამები და საპრეზენტაციო უნარები.
4 ლექცია	კვლევითი და კოლაბორაციული ინსტრუმენტების გამოყენება: საძიებო სისტემები და ელფოსტა; კოლაბორაციული ინსტრუმენტები; სოციალური ქსელები – პროფესიული და საკომუნიკაციო; ინტერნეტ-საცავები (ვიდეო, ფოტო, ტექსტური).
5-6 ლექცია	საბაზისო უნარები საავტორო ინსტრუმენტების (authoring tools) გამოყენებაში: ვებგვერდი; ვიკიპედია; ბლოგი.
7-8 ლექცია	ელექტრონული სწავლების საფუძვლები: ელექტრონული სწავლების არსი და მიზანი; ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტები; ელექტრონული სწავლების ფორმები.
9/10/11/12/13/14 ლექცია	ელექტრონული კურსების შექმნა: LMS (Learning Management System) – Moodle საფუძვლები; Moodle – ინსტრუქციები; ელექტრონული კურსების მომზადების ინსტრუქციები.
15 ლექცია	შემაჯამებელი ლექცია.